საქმის №330210326013058658
საქმის №2/22150-26

12052546392357

განჩინება

საქართველოს სახელით
განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ

14 აგვისტო, 2026 წელი **თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ზვიად ესებუა

განმცხადებელი - შპს „სქაისქეიფერი“ (ს/ნ 431438982)
წარმომადგენელი - თეონა კუპრეიშვილი

მოთხოვნა - რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნა, მოვალის მართვაში დატოვებით

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2026 წლის 07 აგვისტოს, განცხადებით მომართა შპს „სქაისქეიფერი“-ს წარმომადგენელმა თეონა კუპრეიშვილმა და მოითხოვა შპს „სქაისქეიფერი“-ს მიმართ რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნა და მოვალის მართვაში დატოვება.

სასამართლო გაეცნო განცხადებას, მასზე დართულ დოკუმენტებს და მიიჩნევს, რომ განმცხადებელს უნდა მიეთითოს განცხადებისათვის დამახასიათებელ ხარვეზთა თაობაზე და მათ აღმოსაფხვრელად უნდა განესაზღვროს ვადა შემდეგი სახის საფუძველთა არსებობის გამო:

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას ხარვეზის არსებობის თაობაზე და განმცხადებელს შესაბამისი ხარვეზის გამოსასწორებლად მისცემს 5 სამუშაო დღეს. თუ განმცხადებელი ამ ვადაში გამოასწორებს აღნიშნულ ხარვეზს და სასამართლო დაადგენს მოვალის გადახდისუუნარობას ან მოსალოდნელ

გადახდისუუნარობას, სასამართლო გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე.“

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტებზე, რომლის თანახმადაც,
გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი ინფორმაცია (რამდენადაც ეს ცნობილია განმცხადებლისთვის):
ა) ინფორმაცია მოვალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც მოიცავს მის აქტივებსა და ვალდებულებებს, მათ შორის, სამომავლო და პირობით ვალდებულებებს;
ბ) ინფორმაცია უზრუნველყოფის ღონისძიებით დატვირთული მოვალის ქონებისა და უზრუნველყოფილი კრედიტორების ვინაობის (სახელები, სახელწოდებები, მისამართები, საიდენტიფიკაციო ნომრები) შესახებ;
გ) ინფორმაცია მოვალის მიმართ სხვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ;
დ) მოვალის შესახებ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
ე) ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც, განმცხადებლის აზრით, მნიშვნელოვანია რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება სასამართლოში მოვალეს შეაქვს, მან, გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისა, აგრეთვე უნდა წარადგინოს:
ა) თავისი კრედიტორების სრული ჩამონათვალი (მიეთითება სახელები, სახელწოდებები, პირადი ნომრები, საიდენტიფიკაციო მონაცემები) და არსებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია;
ბ) საგადასახადო ვალდებულებების აღწერილობა და ინფორმაცია მათი ოდენობის, მათ შორის, დაუზუსტებელი ოდენობის, შესახებ;
გ) ინფორმაცია საწარმოს ბალანსის შესახებ, მიმდინარე შემოსავლების (მათ შორის, ყოველთვიური წმინდა შემოსავლის სახეობისა და ოდენობის) და ხარჯების აღწერილობა;
დ) თავისი დებიტორული მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია;
ე) ხელშეკრულებებისა და მიმდინარე რეგულარული ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია;
ვ) მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ ინფორმაცია;
ზ) ამ განცხადების შეტანის მომენტისთვის საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;

თ) ამ განცხადების შეტანის მომენტისთვის წინასწარ მომზადებული რეაბილიტაციის გეგმის პროექტის არსებობის შემთხვევაში – ამ პროექტის ასლი, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში – აგრეთვე აღნიშნული განცხადების შეტანის მომენტიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში შემოსავლებსა და ხარჯებში შესატანი, გონივრულად მოსალოდნელი ცვლილების შესახებ ინფორმაცია;
ი) კრედიტორებთან წინასწარ შეთანხმებული რეაბილიტაციის გეგმა (არსებობის შემთხვევაში). მას უნდა ერთოდეს მოვალის მიერ ამ კანონით დადგენილი კრედიტორთა უმრავლესობისგან წინასწარ მიღებული თანხმობა.

აქედან გამომდინარე, <u>მხოლოდ მოცემული მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა და განცხადებაში მასზე მითითება განცხადების დასაშვებად ცნობისათვის საკმარისი არ არის. განმცხადებელმა განცხადებაში კონკრეტულად უნდა ასახოს თითოეული პუნქტიდან გამომდინარე ინფორმაცია დეტალურად და ვრცლად. მაგალითად, დეტალურად უნდა იქნას მითითებული ინფორმაცია მოვალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, კრედიტორების სრული ჩამონათვალი, დებიტორული მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია და ა. შ. აგრეთვე, წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, მათ შორის იმის დამადასტურებელი დოკუმენტიც, რომ მოვალის მიმართ სხვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოება არ მიმდინარეობს, სსიპ შემოსავლების სამსახურის ცნობა მიმდინარე ანგარიშების შესახებ და ა. შ.</u>

განსახილველ შემთხვევაში სარჩელზე დართული მტკიცებულებები:შპს „სქაისქეიფერის“ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; სსიპ საჯარო რეესტრის ცნობა უძრავ ქონებაზე და წილებზე; ცნობა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან; თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაემული ცნობები; საბანკო ანგარიშიდან წარმოდგენილი ამონაწერი - არ ასახავს განცხადების აღძვრის მომენტისათვის (07.08.2026წ) არსებულ მონაცემებს. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს განახლებული ამონაწერი, უახლესი პერიოდის მონაცემებით და არა მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტისა, არამედ ყველა იმ დოკუმენტის უახლოესი მონაცემი, რაც დაადასტურებს მის რეაბილიტაციის მოთხოვნას სასამართლოში საქმის წარმოდგენის მომენტისათვის.

,,რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ” საქართველოს კანონის 44-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებაში, რომლითაც განმცხადებელი რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნას მოითხოვს, მითითებული უნდა იყოს მოთხოვნა ამ კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მორატორიუმის დამატებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ, აღნიშნულ მითითებას წარმოდგენილი განცხადება არ შეიცავს.

ზემოაღნიშნული გარემოებები გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს

„სქაისქეიფერი“-ს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებაზე უნდა დაუდგინდეს ხარვეზი.

სასამართლომ იხელმძღვანელა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი,მე-4, მე-6, მე-8, მე-9, 44-ე, 48-ე, 64-ე, 73-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით, და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. განმცხადებელს შპს „სქაისქეიფერი“ (ს/ნ 431438982) განჩინებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, განესაზღვროს განჩინების გამოქვეყნებიდან **05** (ხუთი) სამუშაო დღის ვადა;

2. განჩინება გამოქვეყნდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში (ვებ-გვერდზე www.ecourt.ge);

3. განემარტოს შპს „სქაისქეიფერი“ (ს/ნ 431438982), რომ თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებს მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე.

4. განჩინებაზე შეუძლია კერძო საჩივრის შეტანა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში (http://www.ecourt.ge/) მისი გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის N64). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოსამართლე **ზვიად ესებუა**